

რეზიუმე

ზაალ ანჯაფარიძე



სამუშაო გამოცდილება

2005 - - 2016

ევროპის ფონდი – (www.epfound.ge)

თანამდებობა: სამოქალაქო საზოგადოების პროგრამების უფროსი მენეჯერი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, მათ შორის მედიის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის, პროექტების მენეჯმენტი. ურთიერთობები დონორებთან, მედიასთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა.

2003 –2005

Chemonics International/USAID საქართველოში მიკროდაფინანსების სტაბილიზაცია/ გაუმჯობესება

თანამდებობა: საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელი საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის, და საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის დაგეგმვა-განხორციელება. საკანონმდებლო ინიციატივების წარმატებული ლობირება

2001 - 2003

The Urban Institute/USAID საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა

თანამდებობა: საზოგადოების ინფორმირების პროგრამის ხელმძღვანელი

საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმართვა სამიზნე ჯგუფებთან

2000 - 2001

ინგლისური ყოველკვირეული გაზეთი **Georgia Today**

თანამდებობა: მთავარი რედაქტორი, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გაშუქება საერთაშორისო აუდიტორიისათვის ქვეყნის ცნობადობის ასამაღლებლად

1997-2006

Jamestown Foundation. (www.jamestown.org)

საქართველოს ანალიტიკოსი, სტატიები საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ტენდენციებზე

1998 – 1999

Barents Group/USAID. ფისკალური რეფორმები საქართველოში

თანამდებობა: საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სპეციალისტი. საზოგადოებასთან საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება ფისკალურ რეფორმებზე

1993-1997

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტი

თანამდებობა: საინფორმაციო ჯგუფის ხელმძღვანელი და საინფორმაციო-ანალიტიკური ბიულეტენის The Georgian Chronicle-ს რედაქტორი

1992- 1998

გაზეთი „რეზონანსი“

ჟურნალისტი, სვეტის ავტორი, ინგლისურ-ენოვანი “The Resonance” რედაქტორი

განათლება

2006-2010 ქემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯი/პროექტების მენეჯმენტი, თანამედროვე მენეჯმენტი/ადმინისტრირება. (წარჩინების დიპლომი)

2003-2004 – საქართველოს მას-მედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი (მაგისტრი)

2002 PR Academy, Oregon, USA - (დიპლომი)

1988-1992 მოსკოვის სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემია. (მედიცინის დოქტორი).

1975-1981 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი- (ექიმის დიპლომი)

ტრენინგები

1994 სათემო ჟურნალისტიკა- Community Journalism (USA, Grinnel, AED/ Resource for International Service)

1994 კონფლიქტების მოგვარების ძიება Finding Solutions to Conflict (DNZ Consulting & Associates, USA)

2001, პარტნიორების შერჩევა და პარტნიორობის ჩამოყალიბება (The Urban Institute)

2006 კონფლიქტების მართვა და მოგვარება, (CRRC)

2008 მოქალაქეთა ინტერესების დაცვა (UNICEF)

2009 ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი (OSGF)

2010, 2013 გენდერული მენისტრამინგი (SIDA)

2014, 2015 მართვა შედეგისათვის (Result Based Management) (SIDA)

პროფესიული მიღწევები

1999 წელს UNDP Discussion Series Papers კონკურსის გამარჯვებული. გამოვეცი ნაშრომი “მედიისა და საინფორმაციო გარემოს ზეგავლენა საქართველოს სახელმწიფო მშენებლობაზე.”

ენების ცოდნა : 1 to 5 (1 - შესანიშნავი , 5 -საბაზისო)

LANGUAGE	READING	SPEAKING	WRITING
ქართული	მშობლიური		
ინგლისური	1	1	1
რუსული	1	1	1

კომპიუტერული პროგრამები: MS Office Programs, Photoshop, Internet, E-mail.

სსიპ 'საზოგადოებრივი მაუწყებლის'
სამეურვეო საბჭოს
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 68

სსიპ 'საზოგადოებრივი მაუწყებლის'
გენერალური დირექტორის თანამდებობაზე
კონკურსში მონაწილე კანდიდატის
ზაალ ანჯაფარიძის

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო წ ე რ ი ლ ი

პატივცემულო სამეურვეო საბჭოს წევრებო

გამოვხატავ ინტერესს სსიპ 'საზოგადოებრივი მაუწყებლის' გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელზედაც კონკურსი გამოქვეყნდა www.gpb.ge –ზე 2016 წლის 28 ნოემბერს. ვთვლი, რომ ჩემი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შრომითი ბიოგრაფიით ვაკმაყოფილებ კონკურსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მაქვს ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწეობის 10-წლიანი სტაჟი, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე - ინგლისურენოვანი გაზეთების Resonance და Georgia Today რედაქტორად.

საერთაშორისო ორგანიზაციებში 16-წლიანი მუშაობის შედეგად, შევიძინე პროექტების მართვის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორებთან, ასევე საქართველოს სამოქალაქო და სახელმწიფო სექტორებთან ურთიერთობის მრავალფეროვანი გამოცდილება. ჩემი უშუალო მონაწილეობით მოხდა საქართველოს 20 წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარების ამალგება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ევროპის ფონდის სამოქალაქო საზოგადოების პროგრამის მენეჯერის რანგში ხელი შევუწეე რეგიონული რადიო/ტელევიზიების გაძლიერების პროექტებს, მათ შორის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გაშუქების გაუმჯობესებას, პერსონალის უნარების გაძლიერებასა და რადიო/ტელევიზიების თანამშრომლობას სამოქალაქო სექტორთან.

ვიცნობ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემატიკას, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების სხვადასხვა კონცეფციებსა და მენეჯმენტის მოდელებს. მაქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაყვანის ჩემი უდიდესი ხედვა და კონცეფცია. ვფიქრობ, რომ შევძლებ ღირსეულად გავართვა თავი გენერალური დირექტორის ფუნქციებს.

პატივისცემით

(ხელმოწერა)

9 დეკემბერი, 2016 წ.